MIDDLE BRONZE AGE BURIAL GROUNDS FROM KVEMO NIKOZI

შუაბრინჯაოს ხანის სამარხები ქვემო ნიქოზიდან

GIORGI MINDIASHVILI
Doctor of History,
Invited archaeologist of Gori State University,
Research associate of the Acad. Ot. Lortkipanidze Institute of
Archaeological Studies of National Museum of Georgia,
#53, Chavchavadze st., 1400, Gori, Georgia,
+995599413847, arqeomindiashvili@gmail.com,
https://orcid.org/0009-0003-5153-8396

GIORGI SOSIASHVILI
Doctor of History, Professor of Gori State University,
#53, Chavchavadze st., 1400, Gori, Georgia,
+995577240088, giorgisosiashvili@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-2406-8662

Abstract. The tombs we excavated at Kvemo Nikozi, dating to the end of the Middle Bronze Age (18th-17th centuries BC), provide clear evidence of the significant social and economic differentiation present in the society at that time, indicating a community on the cusp of forming an early state. The deep-rooted process of societal division into distinct classes, long established, appears to be reflected in their beliefs, as seen in the varying sizes of the burial chambers (pits), the differing orientations of the tombs in relation to the cardinal directions, and the burial rituals (N2 - oriented from south to north, and N3 - from west to east). It is important to note, however, that neither tomb contains skeletal remains common to both, which distinguishes them from traditional burial sites with intact corpses. This gives us reason to consider the possible causes behind this distinction within the population that created the Trialeti culture.

Key words: Trialeti culture; Grave field; Liakhvi; Kvemo Nikozi; Middle Bronze Age.

გიორგი მინდიაშვილი
ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული არქეოლოგი,
საქართველოს ეროვნული მუზეუმის, აკად. ო. ლორთქიფანიძის არქეოლოგიური
კვლევების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. №53, 1400, საქართველო,
+995599413847, arqeomindiashvili@gmail.com,
https://orcid.org/0009-0003-5153-8396

გიორგი სოსიაშვილი
ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. №53, 1400, საქართველო,
+995577240088, giorgisosiashvili@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-2406-8662

აბსტრაქტი. ქვემო ნიქოზის, შუაბრინჯაოს ხანის მიწურულის (ძვ. წ. XVIII-XVII ს.ს.) ჩვენ მიერ გათხრილი სამარხები თვალსაჩინოს ხდიან იმ დროის საზოგადოების სოციალური და ქონებრივი დიფერენციაციის მაღალ დონეს და ადრეული სახელმწიფოს დონესთან მიახლოებული საზოგადოების ყოფას ასახავენ. საზოგადოების ფენებად დაშლის ღრმად წასულ პროცესზე და არსებული მდგომარეობის დიდი ხნის წინ დამკვიდრებაზე უნდა მიგვითითებდეს მისი ასახვა რწმენა-წარმოდგენებში, რაც, ჩვენი აზრით, სამარხი კამერების (ორმოების) ზომებში, დაკრძალვის განსხვავებულ ორიენტაციასა და რიტუალში (N 2 სამარხში- სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ, ხოლო N3-ში - დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ) გამოიხატა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, ორივე სამარხისათვის საერთო - მიცვალებულის ჩონჩხის არ არსებობა, რაც გამოარჩევს მათ მიცვალებულიანი სამარხებისაგან და საფუძველს გვაძლევს თრიალეთის კულტურის შემქმნელი მოსახლეობის შიგნით ამ განსხვავების გამომწვევ მიზეზებზე დავფიქრდეთ.

საკვანძო სიტყვები: თრიალეთის კულტურა; სამარხი; ლიახვი; ქვემო ნიქოზი; შუაბრინჯაოს ხანა.

შესავალი. სოფელი ქვემო ნიქოზი, სადაც ქვემოთ განხილული შუაბრინჯაოს ხანის 2 სამარხი აღმოჩნდა, არქეოლოგიური ძეგლებით საკმაოდ მდიდარ იმ მიკრო რეგიონში მდებარეობს, რომელიც მდ. დიდი და პატარა ლიახვის აუზებს მიეკუთვნება და ქალაქ ცხინვალის ქვემოთ, მდ. დიდი ლიახვის ხეობის შიდა ქართლის ვაკეზე გადასვლის ხაზს ემთხვევა (იხ. რუკა). მდ. დიდი ლიახვის აუზი 1500 კმ^2-მდე ტერიტორიას მოიცავს. იგი სათავეს იღებს დვალეთის, მთიულეთისა და გუდისის ქედებს შორის. ზღვის დონიდან 2338 მ. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1983: 213) და ჩრდილო-დასავლეთით მუგუთამდე მოედინება. ხარულისა და ერმანის ქედების შესაყართან, სოფ. ზღუბირთან, ლიახვს მარცხნიდან ერთვის: ერმანისწყალი, შედარებით სამხრეთით – გუდისის წყალი, ხოლო მარჯვნიდან - ჯომალისწყალი. გუფთას ზემოთ, დიდი ლიახვის შუა წელზე, მისი მარჯვენა შენაკადია მდ. ფაწა, ხოლო სვერთან, დასავლეთიდან ერთვის მდ. ითრაფულა. ამის შემდეგ დიდი ლიახვი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ უხვევს. ძევერასთან, სოფ. შერთულში მას უერთდება პატარა ლიახვი, ხოლო გორში - მდ. მეჯუდა, რის შემდეგ

ლიახვი მარცხენა შენაკადის სახით მტკვარში ჩაედინება. მდინარის საერთო სიგრძე 115 კილომეტრს აღწევს.

მეთოდები. მიმდინარე კვლევა ძირითადად ეფუძნება ისტორიულ-არქეოლოგიურ მეცნიერებაში დამკვიდრებულ კვლევის მეთოდებს: ემპირიულ ანალიზს, შედარებით-ტიპოლოგიურ მეთოდს, მიზეზობრივ-შედეგობრივ ანალიზს, სინთეზს, აბსტრაქციას, კონტენტანალიზს და სისტემურ ანალიზს.

შედეგები და მსჯელობა. ადამიანის კვალი დიდი ლიახვის ხეობაში უძველესი დროიდან ჩანს. ამაში დიდ როლი უნდა ეთამაშა მის ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს და მდებარეობას, რომელიც ხელს უწყობდა კავკასიის ფარგლებში კონტაქტების არსებობას. დასახლებების გაჩენისთვის კი, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მდინარე დიდ ლიახვს, რომელიც მარცვლეული კულტურების მოყვანის თვალსაზრისით საკმაოდ დიდი ტერიტორიის გასარწყავების შესაძლებლობას იძლეოდა. ადამიანის უძველესი დროიდან აქ ცხოვრებაზე მეტყველებს სოფ. აჩაბეთში აღმოჩენილი აშელისა და ზედა პალეოლითური პერიოდის ძეგლები, ასევე, თამარაშენთან, კუსირეთსა და კვერნეთთან არქეოლოგიური დაზვერვის შედეგად 1952 წელს მიკვლეული ანდეზიტის ანატკეცები, რომლებსაც არქეოლოგები ქვედა პალეოლითს მიაკუთვნებენ (ცოტნიაშვილი, 1986: 7-8).

ნეოლითური პერიოდის იარაღები აღმოჩენილია სოფელ რუსთავში, ხოლო ენეოლითის პერიოდის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, მრგვალი კერის ნაწილები და სხვა მასალა მიკვლეულია ფრისის ხევის მარჯვენა ნაპირზე (ცოტნიაშვილი, 1986: 9, 12).

ადრებრინჯაოს ხანის „მტკვარ-არაქსის კულტურა“, რომელიც ძვ. წ. IV ათასწლეულის II ნახ. - III ათასწლეულის II ნახევრით თარიღდება და შიდა ქართლში ფართოდაა წარმოდგენილი, დიდი ლიახვის ხეობაშიც ვრცელდებოდა, რაც დასტურდება: ზღუდრისგვერდის, ძაღინას, ნულის, გუფთას გათხრების შედეგად გამოვლენილი არქეოლოგიური მასალით (აფხაზავა, 1996: 47).

შუა ბრინჯაოს პერიოდის თრიალეთური კულტურის ძეგლებიდან შიდა ქართლის მთიან ზოლში აღსანიშნავია: ნულის, მუგუთის, ავნევის, ფრინევის, წუნარის ყორღანები, სადაც გამოვლენილია მრავალფეროვანი კერამიკა, იარაღი და სხვა ნივთიერი მასალა. (ჯაფარიძე, 1968: 3-8) გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლებიდან ყურადღებას იქცევს ქვასათალის სამაროვანი, რომელშიც წარმოდგენილია, როგორც კოლექტიური, ასევე ინდივიდუალური სამარხები. აქ მიცვალებულები დაკრძალულნი არიან მოკუნტულ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე (გოცაძე, 1990: 41-44). ქვასათალის სამარხში აღმოჩენილ კერამიკას, საბრძოლო იარაღს და სამკაულებს მრავალი ანალოგი მოეპოვება: ბეშთაშენის, სამთავროს, ფლავისმანის, ყორნისის და სხვა ლოკაციების არქეოლოგიურ მასალებში (აფხაზავა, 1996: 54-55). დიდი ლიახვის ხეობაში გამოვლენილი გვიანანტიკური ხანის და ადრეული შუა საუკუნეების (I-VIII სს.) მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალაა მოპოვებული სტირფაზის[1] სამაროვანში, სადაც, 80-ზე მეტი შესწავლილი სამარხიდან, აბსოლუტური უმრავლესობა, ადგილობრივ, კულტურაზე მიგვითითებს (აფხაზავა, 1996: 77).

მდ. პატარა ლიახვი სათავეს გუდისის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე (ზღვის დონიდან 2920 მ.) იღებს და სამხრეთით შიდა ქართლის ვაკეზე მიედინება. მისი დინების სიგრძე 65 კმ-ს შეადგენს, ხოლო აუზის ფართობი 513 კმ^2-ს. მდ. პატარა ლიახვის დინება სოფ. შერთულთან წყდება, სადაც ის მდ. დიდ ლიახვს უერთდება. (სოსიაშვილი, 2017ა: 308-320) პატარა ლიახვის ხეობა მჭიდროდ იყო დასახლებული უკვე ენეოლითსა და ადრე

[1] სტრიფტაზი მდებარეობს მდ. დიდი ლიახვის ხეობაში, ჯავიდან ჩრდილოეთით, 4 კილომეტრის დაშორებით.

ბრინჯაოს ხანაში. პატარა ლიახვის ხეობაში ენეოლითის ხანის (დღეისათვის ადრე ბრინჯაოს ხანა) ძეგლები პირველად არქეოლოგმა ს. ნადიმაშვილმა აღმოაჩინა 1930-იან წლებში. მის მიერ ყოფილი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ასევე მიკვლეული და აღნუსხული იქნა ციკლოპური ნაგებობები. ს. ნადიმაშვილმა პირველმა მიაქცია ყურადღება შიდა ქართლში არქეოლოგიური მნიშვნელობის მქონე „მაღლობების“ არსებობას. მან გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში წარადგინა წერილობითი მოხსენება, რის საფუძველზეც სოფ. ტყვიავში (პატარა ლიახვის ხეობა) ჩატარდა არქეოლოგიური დაზვერვა. მუშაობის პროცესში გამოირკვა, რომ „ძველი მაღლობები“ გასდევს მდ. პატარა ლიახვის ნაპირს და ფიქსირდება: სოფ. ქიწნისში, მარანაში, ტყვიავში, ტირძნისში, მერეთსა და კარბში. მარტო ტყვიავში აღრიცხულია 25-მდე ასეთი „მაღლობი,“ რომელთა ზედაპირი მოკირწყლულია რიყის ქვით; ფორმით ოვალურია, მათი ცენტრის სიმაღლე უდრის დაახლ. 1-2 მეტრს. ზედაპირის მოსინჯვის დროს „მაღლობებში“ აღმოჩნდა ობსიდიანისა და თიხის ჭურჭლის ნატეხები, რაც აშკარად მოწმობს, რომ ეს „ძველი მაღლობები“ ყორღანის ფორმის ძველ სამარხებს წარმოადგენენ (მაკალათია, 1943: 11).

ტყვიავში დადასტურებულ ყორღანთაგან გაითხარა ე.წ. „ხარის გორა“, რომელიც შედგებოდა სამი, ერთმანეთის მახლობლად მდებარე ყორღანისაგან. არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს ტყვიავის სკოლის ეზოს მეზობლად, ზოლოტნიცკის ყოფილ მამულში. პირველი ყორღანის ზედაპირი მჭიდროდ იყო მოკირწყლული რიყის ქვით, რომლებზეც ჩნდებოდა თიხის ჭურჭლისა და ობსიდიანის ნატეხები. აქვე იყო რკინის ისრის წვერი და ბრინჯაოს ჯვარი, რომელსაც ბუდიდან თვალი ჰქონდა ამოვარდნილი. აღმოჩნდა ასევე ხელსაფქვავი და ბრინჯაოს ენამოტეხილი ფიბულა. ამ ყორღანში (ყორღანის ყრილში), სხვა და სხვა სიღრმეზე დადასტურდა 42 სამარხი. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს დამარხვის წესების სხვაობა: მოკრუნჩხული, ფეხებმოხრილად გვერდზე მწოლარე, გულაღმამწოლარე და სხვ. როგორც ს. მაკალათია მიუთითებს, დასაფლავებათა ამ ფორმებში უფრო ძველ წესად ითვლება მოკრუნჩხული. ზოგიერთი მკვლევარი ამ წესში ხედავდა სიკვდილის დაკავშირებას ძილთან და ამის გამო მიცვალებულსაც აძლევდნენ მძინარე ადამიანის პოზას. აგრეთვე ფიქრობენ ადამიანის დედამიწასთან იმ სახით დაკავშირებას, რა მდგომარეობაშიც იყო დედის წიაღში (მაკალათია, 1943: 35-36).

ტყვიავის ყორღანში აღმოჩნდა: ობსიდიანის და კაჟის იარაღები; დიაბაზის ლახტის თავი; ძვლის ნაკეთობანი; ბრინჯაოს იარაღები. სამივე ყორღანში ნაკლებად იყო ჩატანებული თიხის ჭურჭელი. თითქმის არც ერთი მათგანი მთელი არ იყო. განათხარი მასალის შედარებითი შესწავლის საფუძველზე, ს. მაკალათია თვლიდა, რომ ტყვიავის ყორღანები ძველი ბრინჯაოს ხანას, ქრონოლოგიურად დაახლოებით ძვ.წ. მესამე ათასწლეულის შუა პერიოდს უნდა მიეკუთვნოს (მაკალათია, 1943: 50). დაახლოებით ასევე განსაზღვრავდა ამ ყორღანის ძირითად სამარხს ბ. კუფტინიც, რომელიც მის პარალელებს მტკვარ-არაქსის კულტურის გვიან პერიოდში ხედავდა.[2] ყორღანული სამარხების საინტერესო მასალა იქნა მოპოვებული სოფელ ფრისში. აქ 1959 წ. გათხრებს ბ. ტეხოვი ხელმძღვანელობდა. ფრისში გამოვლინდა ყორღანი, რომელიც რიყის ქვებისაგან იყო აგებული და ჰქონდა წრის ფორმა. ყორღანის ცენტრალური ნაწილის შემაღლება წვრილი ქვებისაგან შედგებოდა, ხოლო სამხრეთით ოდნავ წაგრძელებული ნაწილი – დიდი ზომის ქვებისაგან. სამარხი გამართული იყო ყორღანის ცენტრში. მიცვალებულები იწვნენ მოკრუნჩხულ ფორმაში. მათთან ერთად დადასტურდა ხუთი ცალი თიხის ჭურჭელი, ოთხი მათგანი მიწის ზეწოლით იყო დაზიანებული, თუმცა, ფორმა ირკვეოდა. მეხუთესაგან კი მხოლოდ ძირის ნაწილი იყო შემორჩენილი. ოთხი ქოთნის აღდგენა მოხერხდა და გაირკვა, რომ თიხა სუსტად იყო გამომწვარი, შიგნიდან შავად შეღებილი,

[2] ბ. კუფტინის შესავალი წერილი იხ. (მაკალათია, 1943: 5-8).

გარედან, ყელთან კი მცირედ ორნამენტებული სამკუთხა ფორმებით. მასალის მიხედვით, ჭურჭელი ადრებრინჯაოს (დღეისათვის შუა ბრინჯაო) ხანას მიეკუთვნა. თრიალეთისა და სამთავროს ყორღანული სამარხებისაგან განსხვავებით, ფრისში გათხრილი სამარხები კოლექტიური იყო. ისინი არ იყო განკუთვნილი საზოგადოების მაღალი წრის წარმომადგენლებისათვის. აქედან გამომდინარე, ფრისის ყორღანი ღარიბი იყო სამარხეული ინვენტარით. ფრისში დადასტურებული თიხის ჭურჭელი განიცდის ენეოლითური (მტკვარ-არაქსული გ.მ.) კულტურის გავლენას. თიხის ჭურჭლის გარდა, ფრისში აღმოჩნდა სპილენძის, ან ბრინჯაოს სატევრის პირი, რომელიც არქაული ნიშნებით ხასიათდება, თუმცა ტარზე უკვე აქვს ორი ნახვრეტი. ამგვარად, ფრისის ყორღანული სამარხის მასალის შედარებითი შესწავლის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყორღანი ადრე და შუაბრინჯაოს მიჯნას განეკუთვნება.

მსგავსი კერამიკული ნაწარმი აღმოჩენილია საჩხერეში, რომელიც ადრეულ ბრინჯაოს პერიოდს განეკუთვნება. ფრისის სამარხში აღმოჩნდა ხანჯლის პირი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული მთელს ამიერკავკასიაში.[3] ბ. ტეხოვის განმარტებით, ფრისის ყორღანი ადამიანთა კოლექტიურ სამარხს წარმოადგენდა (Техов, 1963: 36-37). სავარუდოდ, ყორღანული სამარხი უნდა იყოს სოფელ დიცის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, სოფელ ფრისის სამხრეთით. აღნიშნული ადგილი სოფელში „გორეების“ სახელით არის ცნობილი. როგორც დიცის მკვიდრნი ამბობენ, ამ ადგილზე სოფლის ერთ-ერთი უბნიდან გვირაბი გადიოდა. დაინტერესებული ახალგაზრდები გვირაბს მართლაც ეძებდნენ და XX საუკუნის 90-იან წლებში გათხრებიც ჩაატარეს, მაგრამ ვერ მიაკვლიეს. დიცის მცხოვრებთა ერთი ნაწილის ინფორმაციით, ამ ადგილზე წინა საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებული სიფრთხილიდან გამომდინარე ქოლერით გარდაცვლილ ადამიანებს კრძალავდნენ, თუმცა, ეს, ჩვენი აზრით, სინამდვილესთან ახლოს არ უნდა იყოს, რადგან ეპიდემიით გარდაცვლილი ადამიანები სოფლის სასაფლაოზეც განისვენებენ, ამას ადასტურებს შემორჩენილი ეპიტაფიები (იხ: სოსიაშვილი, 2017ბ: 37; სოსიაშვილი, 2016: 219). „გორეების“ სახელით ცნობილი ადგილი დაახლ. 1000 კვ. მ.-ის ფართობის ბუჩქნარით დაფარული ბორცვია. მიწის სიღრმეში მშრალი წყობით ამოყვანილი კედლების ფრაგმენტები ჩანს. ქვები მომოფანტულია ბორცვის მთელ პერიმეტრზე, სადაც შავპრიალა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებიც გვხვდება. გადმოცემით, XX საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც ბორცვის გარშემო არსებული სავარგულები იხვნებოდა, მიწის სიღრმიდან დიდი რაოდენობით დაზიანებული თიხის ჭურჭელი ამოდიოდა, რომელიც, სამწუხაროდ, უყურადღებობით განადგურდა. სახელწოდება „გორეები“, ასევე, შუა მინდორში არსებული ბორცვის ფორმა გვავარაუდებინებს, რომ საქმე გვაქვს ყორღანულ სამარხთან. დიცის „გორეების“ კვლევა სამომავლო საქმეა და ვფიქრობთ, ჩვენს ცოდნას პატარა ლიახვის ხეობის უძველესი ისტორიის შესახებ ბევრ საინტერესო ფურცელს შემატებს.

გასული საუკუნის 30-იან წლებში პატარა ლიახვის ხეობის სოფელ დისევში არქეოლოგებმა დაზვერვითი ხასიათის სამუშაოები ჩაატარეს, თუმცა, გათხრებს მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ შეუშალა ხელი. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დროს, ადგილობრივმა გლეხებმა არაერთი კერამიკული ნაწარმი იპოვეს. დისეველმა გ. ოქროპირიძემ 1963 წელს მიწაში ჩაფლული (სავარაუდოდ, XVII საუკუნის) მონეტები აღმოაჩინა, რომელიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმს გადასცა. მონეტები მუზეუმში

[3] პატარა ლიახვის ხეობაში გასულ საუკუნეში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის შედეგად (რომლის ერთი ნაწილი გორის ს. მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოლოგიურ მუზეუმში ინახება) გამოვლენილი ნივთიერი მასალის შესახებ ინფორმაციის მოწოდებასა და გარკვეული საკითხების დაზუსტებაში დახმარება გაგვიწია გორის ს. მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოლოგიური მუზეუმის დირექტორმა, ეთნოლოგიის დოქტორმა თ. კოშორიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

დღემდე „დისევის განძის“ სახელით ინახება. დისევში, სოფლის აღმოსავლეთით, ე. წ. „ნაცერცვალის“ მიდამოებში გასულ საუკუნეში აღმოჩენილ იქნა ვერცხლის სამაჯურები და მძივები. იმავე მიდამოებში ადგილობრივი სასულიერო პირის, ალექსანდრე ოქროპირიძის გადმოცემით (გადმოცემა ჩაიწერა პროფ. ი. მეგრელიძემ) უნახავთ აკლდამა, სადაც თორმეტი თავის ქალა იყო ჩასვენებული. უფრო ჩრდილოეთით, მდ. დისეურას ნაპირზე მიწის ჩამონგრევისას ქვევრები გამოჩენილა. დისევის ჩრდილოეთით კი უპოვიათ სამარხი, რომელშიც რიყის ქვის კედელი იყო ამოყვანილი (ოქროპირიძეთა საგვარეულო სოფლის მოკლე ისტორია, 2012: 7).

1988 წელს კეხვის დაწვიმებითი სარწყავი სისტემის მშენებლობისას ტრანშეებით დაზიანებული არქეოლოგიური ძეგლების შესასწავლად, ცხინვალის დასავლეთით, სოფ. კუსირეთსა და ტბეთს შორის ტერიტორიაზე მივლინებულმა, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციამ (ხელმძღვანელი გ. მინდიაშვილი) დააფიქსირა: სამი სამარხი, რომელთაგან ორი ქვაყუთი, გვერდზე დაკრძალული, ხელ-ფეხმოხრილი მიცვალებულით და კაჟის ყუნწიანი ისრის პირით - ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურას ეკუთვნოდა, ორმოსამარხი კი - თავით დასავლეთით, ზურგზე დაკრძალული, გულზე ხელდაკრეფილი მიცვალებულით – შუა საუკუნეებს; სამარხების მიმდებარედ დადასტურდა მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარის, ძლიერ დაზიანებული ფენა და ასევე დაზიანებული, ე.წ. საკულტო, ზარისებური ორმო, ხელსაფქვავის ქვედა და ზედა ქვით, თიხის ჭურჭლებით და შინაური ცხოველის ქვედა ყბით. საყურადღებოა სოფ. კუსირეთთან ახლოს, კრამიტისა და რიყის ქვის გამოყენებით აგებული საოჯახო სამარხის აღმოჩენა, რომელშიც მამაკაცის ძვლები სამარხის ბოლოში იყო მიწყობილი შუაში კი, ხელ-ფეხმოკეცილი, გვერდზე დაკრძალული ქალი და პატარა ბავშვი ესვენა; საინტერესოა ასევე ხუთქვევრიანი მარანიც, რამდენადაც მასთან ნაგებობის ნაშთები არ დადასტურდა, როგორც ჩანს, განვითარებული შუა საუკუნეების დროინდელი ეს მარანი მხოლოდ ხის კონსტრუქციით იყო გადახურული (Миндиашвили & Квиникадзе, 1997: 20-24).

უკანასკნელ ხანს ძალზე საინტერესო არქეოლოგიური მასალა შეაგროვა თავის ნაკვეთში ქვ. ნიქოზის მკვიდრმა ბადრი დევიძემ. ესაა: ბრინჯაოს ბრტყელი და ცენტრალურამიერკავკასიური ცული, შავპრიალა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ბრინჯაოსა და რკინის სხმულები და წიდები. ტერიტორია, სადაც ეს ნივთები იქნა ნაპოვნი, დიდი ლიახვის მარჯვენა სანაპიროდან 700 მ.-ის დაშორებით არსებულ ტერასისებურ შემაღლებაზე მდებარეობს. ნაპოვნი ნივთებიდან გამომდინარე, გამოითქვა ვარაუდი, რომ აქ შესაძლებელი იყო გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მელითონის სახელოსნოს არსებობა. ამ ვარაუდს გარკვეულად ამყარებდა სარწყავი მილის თხრილში დადასტურებული მოწითალო შეფერილობის გამომწვარი მიწა. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით, ქვემო ნიქოზში, ბადრი დევიძის მიწის ნაკვეთში, საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტოს მიერ დაფინანსებული პროექტის: „არქეოლოგია ახალგაზრდებთან ერთად საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს“ (პროექტის ხელმძღვანელი პროფ. გიორგი სოსიაშვილი, პროექტის კოორდინატორი ასოც. პროფესორი იოსებ ალიმბარაშვილი, საველე სამუშაოების სამეცნიერო ხელმძღვანელი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, დოქტორი გიორგი მინდიაშვილი, ფარგლებში), გორის უნივერსიტეტის ისტორიის სპეციალობის სტუდენტების მონაწილეობით, დაიწყო არქეოლოგიური კვლევა, რომელიც 6 თვეს გაგრძელდა. მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, საველე დოკუმენტაცია, გათხრების ანგარიში და არქეოლოგიური მასალა დაცულია გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2023 წელს პროექტი გაგრძელდა გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ (ისტორიის სპეციალობის სტუდენტების მონაწილეობით) განხორციელებული პროექტი (ხელმძღვანელი პროფ. გ. სოსიაშვილი, კოორდინატორი

პროფ. ა. მღებრიშვილი, საველე სამუშაოების სამეცნიერო ხელმძღვანელი, გორის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი გ. მინდიაშვილი, არქეოლოგი, დოქტორანტი ი. სოზიაშვილი) გათხრებით გამოვლენილ იქნა შუა ბრინჯაოს ხანის ორი (ორ სამარხს შორის მანძილი დაახლ. 10 მ.-ია) სამარხი. ეს ორი სამარხი, მიუხედავად ერთი და იმავე ე.წ. თრიალეთის არქეოლოგიური კულტურისადმი კუთვნილებისა, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან და საინტერესო ინფორმაციას იძლევა მათი შემქმნელი საზოგადოების შესასწავლად, როგორც შიდა ქართლის, ისე მთელი ამ კულტურის შესახებ. მცირე ზომის, როგორც ჩანს, თემის რიგითი წევრისთვის განკუთვნილი N2 სამარხი, წარმოადგენს მართკუთხედის მოყვანილობის ორმოს (სიგრძე - 1,90 , სიგანე - 1,35, სიღრმე - 0,20 მ.), სამარხი სიგრძით მიმართულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ; ის ამოვსებული იყო საშუალო და მცირე ზომის რიყის ქვების ყრილით, რომელიც ორმოს პირზე 0,2 მ-ით მაღლა იწყებოდა და თითქმის ზუსტად იმეორებდა მის მოხაზულობას. ორმოდან ქვების ამოღების პროცესში, მის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან გაიწმინდა პატარა, სფერულტანიანი, შავი, პრიალა ზედაპირის მქონე ქოთანი, მასთანვე ახლოს, სამხრეთით კი – ბრინჯაოს საკინძი (ქინძისთავი), ხუთშვერილიანი თავით და მის ქვემოთ გაკეთებული ნახვრეტით. სამარხში მიცვალებულის ძვლები არ აღმოჩენილა, რაც მის სიმბოლურობაზე – კენოტაფობაზე (უმიცვალებულო სამარხი) მეტყველებს. ამრიგად, საქმე გვაქვს ქვაყრილიან ორმოსამარხთან, რომელიც შესაძლოა ამ ადგილიდან შორს დაღუპული მიცვალებულისთვისაა გაკეთებული, რომლის ჩამოსვენებაც ვერ მოხერხდა. N2 სამარხი, მასში აღმოჩენილი, ძერწვით (ჩარხის გარეშე) დამზადებული, შავპრიალა ქოთნისა და ბრინჯაოს საკინძის მიხედვით შუა ბრინჯაოს ხანის ფინალურ ეტაპს – ძვ.წ. XVIII-XVII ს.ს. შეიძლება მიეკუთვნოს. ამ სამარხთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ აქ აღმოჩენილი ქოთანი მთელი იყო, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სამარხის ქვებით ამოვსებისას, მის გამკეთებლებს საგანგებოდ უზრუნიათ, რათა ჭურჭელი არ დაზიანებულიყო.

N3 სამარხი, N2-სგან 10 მეტრის დაშორებით, დასავლეთით აღმოჩნდა. მასთან რომ თუნდაც მცირე ზომის ყრილის ნაშთი გვენახა, დასაკრძალავი კამერისა და დაკრძალვის რიტუალში ოთხთვალა, ხარებიანი ურმის, სხვა და სხვა ზომის 16 თიხის ჭურჭელთან ერთად გამოყენების გამო (ტაბ.), უყოყმანოდ შეიძლებოდა ყორღანად, ანუ გორასამარხად მიგვეჩნია. N3 სამარხის ორმო არასწორი მართკუთხედის მოყვანილობისაა (3,70X2,70მ.); მისი სიღრმე კი, განამარხებული ველის ზედაპირიდან 1,70 – 1,80 მ- უდრის; ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ N3 სამარხი წარმოადგენს არასტანდარტულად დიდი ზომის ორმოსამარხს, რომელიც ყველა სხვა მონაცემით ყორღანული სამარხის კამერაა და N2 სამარხისგან განსხვავებით, ორიენტირებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. სამარხის ორმო შევსებული იყო ცეცხლით შეწითლებული მიწით, რომელიც შეიცავდა ხის ნახშირის ნატეხებს, თითქოს საგანგებოდ დაკუწულ საქონლის დამწვარ ძვლებს და ობსიდიანის რამდენიმე ნატეხს. საფიქრებელია, რომ სამარხის ძელურ გადახურვაზე, ორმოდან ამოღებული მიწის მცირე ყრილი იქნებოდა, რომელიც სამარხში გაურკვეველი მიზეზით გაჩენილი ცეცხლის შედეგად, გადახურვასთან ერთად ჩაქცეულა. სავარაუდოდ, ამასვე უნდა უკავშირდებოდეს „აღაპის“ შემდეგ სახურავზე დატოვებული(?), დაკუწული და სითეთრემდე დამწვარი, საქონლის ძვლების ორმოს შევსების თითქმის მთელ სიღრმეზე გამოჩენა; ალბათ ამავე მიზეზით, ორმოს შევსების შუა ნაწილში აღმოჩნდა - პატარა სასმისი და ხარის ყბები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სამარხში ხანძრისა თუ რიტუალური ცეცხლის გამოყენების ფაქტი, რადგან სამარხი ორმოს ფსკერზე გაწმენდილი 2 ხარის თავის ქალა და ჩონჩხის სხვა ძვლები, წვრილფეხა საქონლის ძვლებთან ერთად, ნაკლებად არის დამწვარი, ხოლო ოთხთვალა ურმის დანახშირებული თვლებისა და ძარის ნაშთები ორმოს ფსკერიდან 0,2–0,3 მ-ის სიმაღლემდეა შემორჩენილი. ამიტომ, სამარხში ცეცხლის გაჩენისა და მისი სხვადასხვა ინტენსივობის მაჩვენებელი ნიშნები ცალკე მსჯელობას იმსახურებს.

სამარხი ორმოს ძირი ჩაჭრილია მდინარის რიყის მსგავს ხრეშოვან ფენაში, რომელზეც, მოსწორების მიზნით, მოუტკეპნიათ მოყვითალო თიხის თხელი (3-4 სმ.) ფენა. სამარხი ორმოს პირი, ძირთან შედარებით, რამდენადმე ვიწროა, აღმოსავლეთის კედელი კი - შესამჩნევად განიერია დასავლეთისაზე; ხარის თითო თავის ქალა, პირით ზემოთ იყო მიყუდებული სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეებში; ორივესთან ეწყო ჩლიქები და ნეკნები; როგორც ჩანს, აღმოსავლეთითვე უნდა ყოფილიყო უღელიც, რადგან ოთხთვალა ურმის თვლები და ძარა, ნაშთების მიხედვით, სამარხის დასავლეთ ნახევარში დაფიქსირდა. სამარხში გაწმენდილი თიხის ჭურჭელი ოთხ ჯგუფად იყო განლაგებული. ერთ ჯგუფს შეადგენდა, ჩრდილოეთის კედლის შუა ნაწილში, ერთმანეთთან მჭიდროდ მიწყობილი სამი დერგი (NN1-3); მეორე პირობით ჯგუფში გაერთიანებულია სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ მეოთხედში, ხარის ნეკნებს შორის გაწმენდილი საშუალო ზომის ბადია და ქოთნები, რომლებიც გაფანტულად არის განლაგებული (NN4-7,14,16); მესამე ჯგუფი სამხრეთ კედლის შუა ნაწილშია და ოთხი ერთმანეთზე მიწყობილი დერგისაგან შედგება (NN 8-11); მეოთხე ჯგუფი - ორი ერთმანეთზე მიდგმული დერგისა და მათ მხრებს ზემოთ გაწმენდილი ქოთნისგან (NN12, 13, 15; იხ. ფოტო); ეს უკანასკნელი, მისი აღმოჩენის პირობებიდან გამომდინარე, დერგების მიწით დაფარვამდე, ურმის ძარაზე უნდა მდგარიყო. სამარხის ალაგების დროს, მესამე ჯგუფის N10 დერგში მიკვლეულ იქნა მცირე ზომის, კოპებით შემკული, ყურიანი კათხა (N16). ამავე ჯგუფის დერგებს შორის აღმოჩნდა ირმის(?) რქის, სიგრძეზე გახვრეტილი ტოტებისგან დამზადებული შავი ფერის (დამწვარი?), ერთმანეთზე დაწყობილი სამი „მილაკი“ (შტანდარტის დეტალები?), შიგ გაყრილი წვრილი ჯოხებით ან ტყავით(?). 14-15 სმ. სიგრძისა და დაახლოებით 2 სმ. დიამეტრის ამ მილაკებს თავსა და ბოლოში გაკეთებული აქვთ სამ-სამი წვრილი ნახვრეტი. N10 დერგის შევსების (შიგთავსის) გაცრისას, გარდა ზემოთ აღნიშნული კათხისა, გამოვლენილ იქნა წვრილი ცხოველის (თაგვი?) ცეცხლით დაწითლებული ძვლები და დანახშირებული ხის, პატარა, ნაფოტისებური ნივთი, რომელიც ძალიან გავს რაღაცის გარსაკრავს; ის რამდენიმე ადგილას წვრილად არის გახვრეტილი და ამ ნახვრეტებში ჩარჭობილი აქვს ხისავე წვრილი სამსჭვალები (წკირები). ადამიანის (მიცვალებულის) ძვლები არც ამ სამარხში აღმოჩნდა.

თიხის ჭურჭლის ფორმები, დამზადების ტექნიკა და ტექნოლოგია, შემკულობის ხასიათი და მისი დატანის ხერხები, შესაძლებლობას გვაძლევს, რომ N3 სამარხი, საქართველოს ძეგლებთან მოძიებული ანალოგიებიდან გამომდინარე შუა ბრინჯაოს ხანის ფინალურ ეტაპს, ანუ დაახლოებით ძვ.წ. XVIII–XVII საუკუნეებს მივაკუთვნოთ. (სადრაძე, ხოხობაშვილი, ღლიღვაშვილი & ძნელაძე, 2018: 7-38, 97-101; ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი & წერეთელი, 1981: 27 სურ. 5, 37 სურ. 8, 58 სურ. 21) აქვე აღვნიშნავთ N3 სამარხის ზოგიერთ თავისებურებას: პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ გორასამარხებისათვის დამახასიათებელ დასაკრძალავ კამერასა და დაკრძალვის რიტუალს, ამ შემთხვევაში არ „აგვირგვინებს“ სათანადო ზომის ყრილი; შემდეგია - განზრახ, თუ შემთხვევით გაჩენილი ხანძრის შედეგები; - ამ ზომისა და ყორღანული რიტუალის მქონე სამარხისათვის შეუფერებელი სიღარიბე - ლითონის ნივთების არ არსებობა და მიცვალებულის ძვლების არ არსებობა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორივე სამარხის ორმოების ამოთხრისას ჩაუჭრიათ, დღეისათვის განამარხებული, ძველი ველის ზედაპირი, რომელზეც გვხვდება ადრებრინჯაოს ხანის, „მტკვარ-არაქსის კულტურის“ განვითარებული ეტაპის (დაახლოებით ძვ.წ. XXX – XXVIII სს.) თიხის ჭურჭლის ნატეხები და ამავე კულტურის ფინალური ეტაპის ერთი ორმოსამარხი (N1). რაც შეეხება სამარხში მიცვალებულის ძვლების არ არსებობას, თუ ერთი მოსაზრებით საქმე გვაქვს სახლიდან შორს გარდაცვლილისთვის სიმბოლური სამარხის გაკეთებასთან, მეორე შემთხვევაში ივარაუდება კრემირებული ნაშთების ურნით დაკრძალვა (ჯაფარიძე, 1991: 168-169), რაც ყველა შემთხვევაში საჭიროებს სათანადო მატერიალურ (ურნა-ფერფლი-დამწვარი ძვლის

ნაწილები) დადასტურებას; ამავე დროს, ალბათ არ უნდა გამოვრიცხოთ, ჩვენთვის ძნელად წარმოსადგენი, დაკრძალვის სხვა წესის არსებობაც. მით უმეტეს, რომ თრიალეთის კულტურის სამარხებში, მათ შორის ყორღანულ სამარხებში, მიცვალებულის ძვლების არ არსებობა იმდენად ხშირია, რომ ის მართლაც შეიძლება დაკრძალვის თავისებურ წესად ჩაითვალოს და არა კრემაციად, ან კენოტაფად. აქვე უნდა აღინიშნოს კაჭრეთთან, სადუღას N2 ყორღანში მიცვალებულის თავის ქალისა და მხოლოდ მარჯვენა ხელის ძვლების აღმოჩენის შემთხვევა (დედაბრიშვილი & რუსიშვილი, 1984: 56-63), რაც იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ თრიალეთის კულტურის მთელ ტერიტორიაზე დადასტურებული დასაკრძალავი ნაგებობებისა და დაკრძალვის წესების მრავალფეროვნება საზოგადოების რთული სტრუქტურისა და არაერთგვაროვანი რწმენა-წარმოდგენების ანარეკლია. რაც შეეხება ქვემო ნიქოზის შუაბრინჯაოს ხანის სამარხების ადგილს ამ დროის ძეგლებს შორის, უნდა ითქვას რომ თრიალეთის კულტურის სამარხები აღმოსავლეთ საქართველოს ყველა ნაწილში გვხვდება და ტიპების მრავალფეროვნებით ხასიათდება (ორმოსამარხები, ქვაყრილიანი ორმოსამარხები, ქვაწრიანი, დიდი და მცირე ზომის ორმოიანი და უორმოო ყორღანული სამარხები, ე.წ. თახჩიანი და კატაკომბის ტიპის სამარხები, ქვით ნაგები მესხური კოლექტიური აკლდამა-ყორღანები). შიდა ქართლში ამ კულტურის სამარხები გათხრილია: ნულში, ქვასათალში, ბერიკლდეებთან, სამთავროს სამაროვანზე, მეტეხთან, ნატახტართან, კორინთაში, ქვემო ნიქოზთან ახლოს კი - ფრისსა და საქაშეთში. მიუხედავად შიდა ქართლში აღმოჩენილი შუაბრინჯაოს ხანის სამარხების არც თუ მცირე რაოდენობისა, თრიალეთისა და მესხეთისგან განსხვავებით აქ მათი რიცხვი გაცილებით ნაკლებია; აქ ჯერ არ გვხვდება ასევე, სამარხების კომპაქტურად, მოზრდილ სამაროვნებად განლაგების შემთხვევები; იშვიათია ლითონით მდიდარი კომპლექსები (ჯაფარიძე, 1991: 165-181). ეს კი, საერთო სურათის აღდგენისას მოითხოვს სათანადო გათვალისწინებას. შუაბრინჯაოს ხანის ფინალური ეტაპი, რომელსაც ქვემო ნიქოზის N2 და N3 სამარხი მიეკუთვნება, ქრონოლოგიურად ახლოსაა გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ ეტაპთან. თუმცა, ამ კომპლექსებში ჯერ კიდევ არ გვხვდება სამეთუნეო მორგვზე დამზადებული კერამიკა. N3 სამარხში აღმოჩენილი 9 დერგი კი, კვერცხისებური მოყვანილობით, სწორედ ფინალური ეტაპისთვისაა დამახასიათებელი. ამ ეტაპზევე უნდა მიგვანიშნებდეს N2 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ხუთშვერილიანი საკინძიც და სფერულტანიანი შავპრიალა ქოთანიც.

ორივე სამარხში ნანახი თიხის ჭურჭელი არ გამოირჩევა მაღალი ხარისხით, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს, როგორც ცეცხლის მოქმედებით (სამარხი N3), ისე - მათში „დაკრძალულთა“ ქონებრივი მდგომარეობით. თუმცა N3 სამარხში დაფიქსირებული ლითონის ნივთების არ არსებობა და სამარხში გაჩენილი ხანძარი, შესაძლოა მძარცველების მოქმედებითაც აიხსნას; მითუმეტეს თუ გავიხსენებთ, რომ ამ სამარხს, რომელსაც ჰქონდა ყორღანის ტიპის დასაკრძალავი კამერა, პრაქტიკულად არ გააჩნდა ყრილი, რომელიც მძარცველებისაგან რამდენადმე მაინც დაიცავდა. მიუხედავად იმისა, რომ N3 სამარხს არ ჰქონდა ყორღანული ყრილი, მასში დაფიქსირებული დაკრძალვის რიტუალი, ორმოს ზომები, ურემი ხარებით, შინაურ ცხოველთა (ცხვარი?) ძვლები, 16 ერთეული თიხის ჭურჭელი და ბოლოს, ირმის რქის ტოტებისგან დამზადებული შტანდარტის მილაკები, ლითონის არ არსებობის მიუხედავად, აშკარად მიგვითითებენ იმ პირის მაღალ სოციალურ რანგზე, ვისთვისაც ეს სამარხი გაკეთდა. ამასვე უსვამს ხაზს, მის გვერდით აღმოჩენილი N2 სამარხის მცირე ზომები და ერთი თიხის ჭურჭლით და ერთი ბრინჯაოს საკინძით ამოწურული სამარხეული ინვენტარი.

დასკვნა. ამრიგად, ქვემო ნიქოზის, შუაბრინჯაოს ხანის მიწურულის (ძვ. წ. XVIII-XVII ს.ს.) ჩვენ მიერ გათხრილი სამარხები თვალსაჩინოს ხდიან იმ დროის საზოგადოების სოციალური და ქონებრივი დიფერენციაციის მაღალ დონეს და ადრეული სახელმწიფოს დონესთან მიახლოებული საზოგადოების სურათს ასახავენ. საზოგადოების ფენებად

დაშლის ღრმად წასულ პროცესზე და არსებული მდგომარეობის დიდი ხნის წინ დამკვიდრებაზე უნდა მიგვითითებდეს მისი ასახვა რწმენა-წარმოდგენებში, რაც ჩვენი აზრით, სამარხი კამერების (ორმოების) ზომებში, დაკრძალვის განსხვავებულ ორიენტაციასა და რიტუალში (N2 - სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ, ხოლო N3 - დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ) გამოიხატა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ორივე სამარხისათვის საერთო - მიცვალებულის ჩონჩხის არ არსებობა, რაც გამოარჩევს მათ მიცვალებულიანი სამარხებისაგან და საფუძველს გვაძლევს თრიალეთის კულტურის შემქმნელი მოსახლეობის შიგნით ამ განსხვავების გამომწვევ მიზეზებზე დავფიქრდეთ.

გამოყენებული ლიტერატურა

აფხაზავა, ნ. (1996). კულტურულ-ეთნიკური პროცესები შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში უძველესი დროიდან გვიან შუა საუკუნეებამდე (არქეოლოგიური მასალების მიხედვით), წიგნში: *ოსთა საკითხი.* აკაკი ბაქრაძისა და ომარ ჩუბინიძის რედ. გორი-თბილისი.

გოცაძე, კ. (1990). *დაკრძალვის წესი გვიანანტიკურსა და ადრეშუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში.* თბილისი.

დედაბრიშვილი, შ., & რუსიშვილი, რ. (1984). სადუღას ველის შუა ბრინჯაოს ხანის N2 გორასამარხი. *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები VI.* თბილისი.

მაკალათია, ს. (1943). ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები. *გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები.* თბილისი.

ოქროპირიძეთა საგვარეულო სოფლის მოკლე ისტორია. (2012). შემდგენლები: სქიმიღუმენი ისიდორე (ოქროპირიძე), ზურაბ ოქროპირიძე, უჩა ოქროპირიძე, თბილისი.

სადრაძე, ვ., ხოხობაშვილი, თ., ღლიღვაშვილი, ე., & ძნელაძე, მ. (2018). *ნატახტრის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნები.* თბილისი.

სოსიაშვილი, გ. (2017)ა. პატარა ლიახვის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა. *ქართველური მემკვიდრეობა.* XXI.

სოსიაშვილი, გ. (2017)ბ. *დიცის წარწერები.* თბილისი.

სოსიაშვილი, გ. (2016). ეპიტაფიები სოფელ დიციდან. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები.* XI.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. (1983). ტ. 6. თბილისი.

ცოტნიაშვილი, მ. (1986). *ცხინვალის ისტორია (ცხინვალი ფეოდალიზმის ხანაში).* თბილისი.

ჯაფარიძე, ო. (1968). შიდა ქართლის ჩრდილო ზოლი ბრინჯაოს ხანაში. *ძეგლის მეგობარი.* #14. თბილისი.

ჯაფარიძე, ო. (1998). *ქართველი ტომების ეთნო-კულტურული ისტორიისათვის ძვ. წ. III ათასწლეულში (ადრეყორღანული კულტურა).* თბილისი.

ჯაფარიძე, ო. (1991). *საქართველოს არქეოლოგია (ქვისა და ბრინჯაოს ხანა).* თბილისი.

ჯაფარიძე, ო., კიკვიძე, ი., ავალიშვილი, გ., & წერეთელი, ა. (1981). *მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები (1970-1977 წწ.).* თბილისი.

Миндиашвили, Г. М., & Квиникадзе, Д. Д. (1997). Экспедиция Гориского района. *Самелэ археологиурэ квлевэ-дзиебэ 1988 ц'елс (мокле анбаришебэ).* საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი.

Техов, Б. (1963). *К истории изучения памятников эпохи энеолита и бронзы в нижнем течении реки большой Лиахви.* Тбилиси.

REFERENCES

apkhazava, n. (1996). k'ult'urul-etnik'uri p'rotsesebi shida kartlis chrdilo-dasavlet nats'ilshi udzvelesi droidan gvian shua sauk'uneebamde (arkeologiuri masalebis mikhedvit) [Cultural-Ethnic Processes in the Northwestern Part of Shida Kartli from Ancient Times to the Late Middle Ages (According to Archaeological Materials)]. In *osta sak'itkhi [The Issue of Ossetians]*. Ed. by Akaki Bakradze and Omar Chubinidze. Gori-Tbilisi.

gotsadze, k'. (1990). *dak'rdzalvis ts'esi gvianant'ik'ursa da adreshuasauk'uneebis aghmosavlet sakartveloshi [Burial Custom in Late Antiquity and Early Medieval Eastern Georgia]*. Tbilisi.

dedabrishvili, sh., & rusishvili, r. (1984). sadughas velis shua brinjaos khanis N2 gorasamarkhi [Middle Bronze Age Tumulus N2 of Sadugha Valley]. *k'akhetis arkeologiuri eksp'editsiis shromebi VI [Works of the Kakheti Archaeological ExpeditionVI]*. Tbilisi.

mak'alatia, s. (1943). t'qviavis qorghanuli samarkhebis arkeologiuri gatkhrebi [Archaeological Excavations of Kurgan Tumuli of Tkviavi]. *goris sakhelmts'ipo ist'oriul-etnograpiuli muzeumis shromebi [Proceedings of the Gori State Historical and Ethnographical Museum]*. Tbilisi.

okrop'iridzeta sagvareulo soplis mok'le ist'oria [A Brief History of the Ancestral Village of Okropiridzes]. (2012). Creators: schema-hegumen Isidore (Okropiridze), Zurab Okropiridze, Ucha Okropirodze. Tbilisi.

sadradze, v., khokhobashvili, t., ghlighvashvili, e., & dzneladze, m. (2018). *nat'akht'ris shua da gvianbrinjaos khanis samarovnebi [Middle and Late Bronze Age Burial Sites of Natakhtari]*. Tbilisi.

sosiashvili, g. (2017)a. p'at'ara liakhvis kheobis ist'oriul-geograpiuli mimokhilva [Historical-Geographic Overview of Patara Liakhvi Gorge]. *kartveluri memk'vidreoba [Georgian Heritage]*. XXI.

sosiashvili, g. (2017)b. *ditsis ts'arts'erebi [Inscriptions of Ditsi]*. Tbilisi.

sosiashvili, g. (2016). ep'it'apiebi sopel ditsidan [Epitaphies from the Village Ditsi]. *ivane javakhishvilis sakhelobis tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is, humanit'arul metsnierebata pak'ult'et'is, sakartvelos ist'oriis inst'it'ut'is shromebi [Proceedings of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Humanities, Institute of History of Georgia]*. XI.

kartuli sabch'ota entsik'lop'edia [Georgian Soviet Encyclopedia]. (1983). t'. 6. Tbilisi.

tsot'niashvili, m. (1986). *tskhinvalis ist'oria (tskhinvali peodalizmis khanashi) [The History of Tskhinvali (Tskhinvali During the Feudal Era)]*. Tbilisi.

japaridze, o. (1968). shida kartlis chrdilo zoli brinjaos khanashi [Northern Line of Shida Kratli in the Bronze Age]. *dzeglis megobari [Friend of the Monument]*. #14. Tbilisi.

japaridze, o. (1998). *kartveli t'omebis etno-k'ult'uruli ist'oriisatvis dzv. ts'. III atasts'leulshi (adreqorghanuli k'ult'ura) [For the Ethno-Cultural History of Georgian Tribes in the 3rd Millennium BC (Pre-Kurgan Culture)]*. Tbilisi.

japaridze, o. (1991). *sakartvelos arkeologia (kvisa da brinjaos khana) [Georgian Archaeology (Stone and Bronze Age)]*. Tbilisi.

japaridze, o., k'ik'vidze, i., avalishvili, g., & ts'ereteli, a. (1981). *meskhet-javakhetis arkeologiuri eksp'editsiis mushaobis shedegebi (1970-1977 ts'ts'.) [Results of the Meskheti-Javakheti Archaeological Expedition (1970-1977)]*. Tbilisi.

Mindiashvili, G. M., & Kvinikadze, D. D. (1997). Jekspedicija Goriiskogo rajona [Expedition of Gori District]. *savele arkeologiuri k'vleva-dzieba 1988 ts'els (mok'le angarishebi) [Archaeological Field Research in 1988 (Brief Reports)]*. sakartvelos metsnierebata ak'ademia. arkeologiuri k'vlevis tsent'ri [Georgian Academy of Sciences. Archaeological Research Center]. Tbilisi.

Tehov, B. (1963). *K istorii izuchenija pamjatnikov jepohi jeneolita i bronzy v nyzhnem techenii reki bol'shoj Liahvi [About the History of Studying Monuments of the Eneolithic and Bronze Ages in the Lower Gorge of Didi Liakhvi River]*. Tbilisi.

სამარხი N2 – გათხრის პროცესში

არტეფაქტები სამარხიდან

სამარხი N3 – ალაგების წინ და აღდგენილი თიხის ჭურჭლის ნაწილი